

ქონების გადასახადის გამომანგარიშებისა და გადახდის ცალკეული ასპექტების შესახებ

სვანაძე სერგო – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Issue of Property Tax Calculation and Individual Aspects of Payment

Svanadze Sergo – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Effectiveness of individual issues of calculation of property taxes and taxes in the budget by applicable tax legislation, analysis of indicators, their generalization and development of proposals for perfection.

Research methodology: The survey uses analysis and synthesis, data comparison, systemic and logical, normative, legislative and other approaches. The methodological basis are the definitions, provisions and norms defined by the legislative normative documents, legislative and subordinate acts, methodical instructions and commands, published public information, scientific works.

Results and implications: Represents one of the latest attempts to formulate the proposals for complex study, analysis, generalization and perfection of theory and practice in this area. The remarks and recommendations will provide the basis for the improvement of the existing practice system, further improvement, and increase fiscal and administrative results in this regard.

Conclusion: Ensuring the effectiveness of determination of action for their subsequent improvement by reviewing existing issues of current legislation.

Keywords: property, tax, margin, debtor

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ქონების გადასახადის გამომანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის დადენილი ნორმების ცალკეული საკითხის ეფექტურობა, მაჩვენებელთა ანალიზი, მათი განზოგადება და ნორმათა სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევაში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, მონაცემთა შედარების, სისტემური და ლოგიკური, ნორმატიულ - საკანონმდებლო და სხვა მიდგომები. მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დადგენილი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული დეფინიციები, დებულებები და ნორმები, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, მეთოდური მითითებები და ბრძანებები, გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო ნაშრომები.

შედეგები და გამოყენება: წარმოადგენს ამ სფეროში თეორიისა და პრაქტიკის კომპლექსურად შესწავლის, ანალიზის, განზოგადებისა და სრულყოფის წინადადებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთ უახლეს მცდელობას.

შენიშვნები და რეკომენდაციები საფუძველს შეუქმნის პრაქტიკაში მოქმედი სისტემის სრულყოფას, მის შემდგომ დახვეწასა და ამ მხრივ ფისკალური და ადმინისტრაციული შედეგის ამაღლებას.

დასკვნა: განხორციელებადი, მოქმედი კანონმდებლობის აქტუალური საკითხების განხილვით მათი შემდგომი სრულყოფისათვის ქმედებათა განსაზღვრით ეფექტურობის ზრდის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ქონება, გადასახადი, ზღვარი, სავადო

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ქონების გადასახადით დაბეგვრის საკითხები.

ადგილობრივი გადასახადების სისტემა ეროვნული საგადასახადო სისტემის შემადგენელი ნაწილია. მისი არსებობა პირველ რიგში თვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტერესებს პასუხობს, ვინაიდან ადგილობრივი გადასახადები ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტაბილურ და დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენენ. ამავდროულად, ადგილობრივი გადასახადების არსებობა საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც პასუხობს, ვინაიდან მთელი რიგი სოციალური ამოცანების შესრულება ადგილობრივი ფინანსური რესურსების გარეშე შეუძლებელია.

საგადასახადო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ -სამართლებრივ მახასიათებელს წარმოადგენს სამეწარმეო სფეროს რეგულირების საქმეში ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილების თანაფარდობა, რაც მათ შორის მოიცავს შესაბამისი დონის სახელისუფლებო ორგანოს უფლებას დააწესოს და შემოიღოს გადასახადები. ამის ნათელი დადასტურებაა ადგილობრივი გადასახადი (ქონების გადასახადი) რომელიც წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით დაწესებულ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებულ გადასახადს (შესაბამისი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

ნაშრომში წარმოჩენილია ქონების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და განსახილველი საკითხები.

ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავლებს ღებულობს, გააჩნია ქონება და ახორციელებს სამეურნეო ოპერაციებს, აუცილებელია გადასახადების გადახდის გზით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო რესურსების ფორმირებაში.

გადასახადი სახელმწიფო ხაზინაში მობილიზებული სახსრების ძირითადი წყაროა, რაზეც ნათლად მიუთითებს წარმოდგენილი ცხრილის მაჩვენებლები:

ცხრილი N1.¹ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2014-2017 წლები (ათას ლარებში)

დასახელება	2014		2015		2016		2017	
		%		%		%		%
შემოსავლები	7,319,000.0	100	8,048,920.0	100	8,546,800.0	100	9489,460.0	100
გადასახადები	6,820,000.0	93.18	7,520,000.0	93.43	7,980,000.0	93.37	8,820,000.0	92.95
გრანტები	144,000.0	1.97	238,920.0	2.97	246,800.0	2.89	284,460.0	2.99
სხვა შემოსავლები	355,000.0	4.85	290,000.0	3.60	320,000.0	3.74	385,000.0	4.06


საგადასახადო ვალდებულება და მისი აღსრულება განსაზღვრულია გადასახადის ელემენტებით. მათ მიეკუთვნება: გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი), გადასახადის ობიექტი, გადასახადის საგანი, გადასახადის მასშტაბი, საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდი, საგადასახადო პერიოდი, გადასახადით დაბეგვრის ერთეული, გადასახადის განაკვეთი და გადასახადით დაბეგვრის მეთოდი, გადასახადის გამოანგა-

¹ წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე (www.mof.ge).

რიშების წესი, საანგარიშო პერიოდი ,გადასახადის გადახდის ვადები, გადასახადის გადახდის ხერხები და საშუალებები.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ქონების გადასახადთან მიმართებაში განსჯისათვის წარმოდგენილია რამოდენიმე საკითხი, ელემენტი.


სქემა N 1.² ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი



² წყარო: ბიზნესის აკადემიური ცენტრი (www.baco.ge)

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი

სქემა N2.³ მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი



საგადასახადო კოდექსით მიხედვით საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისსა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით და რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე-3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე-2-ჯერ
- 2004 წელს მიღებულ აქტივებზე-1,5-ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს -3-ჯერ.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. იმ შემთხვევაში, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას, გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთან, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30-ე დღის შემდეგ (დავალიანების შემთხვევაში), ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით განსაზღვრული ზემოთაღნიშნული ნორმით საწარმოთა ქონების გადასახადი 1%-ს კი არა, ცალკეულ შემთხვევებში 1,5%; 2%; 3%-ს შეადგენს.

ამ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს იმაში რომ განსაზღვრავს კი ეს კოეფიციენტები დღეს ქონების რეალურ ღირებულებას. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან

ქონების გადასახადთან მიმართებაში ქონების აფასებასთან დაკავშირებით კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტილება უნდა აიხსნას ფისკალური დაინტერესებით, ვინაიდან დასაბეგრი ქონების გაზრდილი ღირებულება იწვევს ბიუჯეტში დამატებითი მოცულობის საგადასახადო შემოსავლის მოზილიზებას.

ქონების გადასახადის ნაწილში საყურადღებოა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილების საკითხი, რა დროსაც მას შესაძლებლობა ეძლევა გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით და სხვაობაზე დაარიცხოს ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. საგადასახადო კოდექსში მსგავსი ნორმის არსებობა საფრთხის მატარებელია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეთა ბიზნესინტერესების დაცულობის მიმართულებით, რამდენადაც საგადასახადო ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონება ნაცვლად საბალანსო ღირებულებისა განუსაზღვროს „საბაზრო ფასით“.

თავდაპირველად საგადასახადო კოდექსი ამბობს, რომ დასაბეგრი ბაზა საბალანსო ღირებულებაა, შემდეგ მოითხოვა მისი 1,5; 2 ან 3-ზე გამრავლება და ბოლოს დაიტოვა უფლება ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით. ამ ყველაფრისგან გამომდინარე სადღაა საბალანსო ღირებულების ადგილი ამ ნაწილში, ხომ არ სჯობს ამ მუხლში აღინიშნოს, რომ საგადასახადო ბაზა არის არა საბალანსო არამედ საბაზრო ღირებულება. ამ საკითხის სწორად დასარეგულირებლად უნდა გამარტივდეს საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაციების მოპოვება და ღირებულების გასაზღვრის მეთოდოლოგია.

შენობა-ნაგებობებისა და მიწის რეალური ღირებულება განისაზღვრება ბაზარზე დაფუძნებულ შეფასებით მოსაზრებაზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, პროფესიონალი კვალიფიციური შემფასებელი ასრულებს. მანქანა-დანადგარების რეალური ღირებულება, ჩვეულებრივ, შეფასების გზით მიღებულ, მათ საბაზრო ღირებულებას წარმოადგენს.

ამ ნორმიდან გამომდინარე ქონების გადასახადში ზღვარი არ არის განსაზღვრული, გადასახადის გადამხდელი არის დაუცველი რადგან ვერ იქნება დარწმუნებული რომ გადასახადი სწორად გადაიხადა. არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია იმისა თუ რა მონაცემებს უნდა დაეყრდნოს გადამხდელი რომელსაც სურს სწორად გადაიხადოს გადასახადი.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

✓ 100000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა.

100000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40000 ლარს.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადით დაბეგვრის საკითხებშიც აღინიშნება რიგი პრობლემები. ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით. ამ შემთხვევაში ქონების გადასახადს

უერთდება მეორე ელემენტი - შემოსავლები, ქონების გადასახადი ერთგვარად დამოკიდებული გახდა შემოსავლებზე, ამ შემთხვევაში ერთმა ეკონომიკურმა ფაქტორმა განსაზღვრა მეორე. ეს საკითხი უფრო მართებული იქნებოდა თუ ქონების გადასახადი ქონების საერთო ღირებულებას დაუკავშირდებოდა და არა შემოსავლებს. კანონში ჩადებული ეს პუნქტი იწვევს სოციალურ პრობლემებს რადგან არიან ადამიანები რომელთა ქონება მინიმალურია მაგრამ მათი შემოსავალი აჭარბებს 40000 ლარს (რომელიც სულაც არ არის საკმარისი ქონების დასაგროვებლად) და მათ მაინც უწევთ ქონების გადასახადის გადახდა. არ არის სამართლიანი როდესაც ადამიანი რომელმაც მიღებულ შემოსავალზე უკვე გადაიხადა საშემოსავლო გადასახადი ამავე შემოსავლების გამო დაეკისროს სხვა რომელიმე გადასახადი. პირის მიერ მიღებული შემოსავალი არ უნდა განსაზღვრავდეს გადაიხდის თუ არა იგი ქონების გადასახადს.

ამას ისიც ადასტურებს, რომ თუ პირობითად ორი ფიზიკური პირი ზოგადად ფლობს ერთი და იგივე დასაბეგრ ქონებას-40000 ლარიანი ზღვარის დაწესება ქმნის არაობიექტურ გარემოს, კერძოდ თუ ერთი პირის ოჯახის შემოსავალი 39999 ლარია, ხოლო მეორე პირის ოჯახის შემოსავალი 40001 ლარი. ამ სიტუაციაში პირველი არ იხდის ქონების გადასახადს, ხოლო მეორეს წარმოეშობა აღნიშნული ვალდებულება - როცა შემოსავლებში სხვაობა მხოლოდ 2 ლარია,

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით, რაც არცთუ ოპტიმალურ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქონების გადასახადით დაბეგვრა დამოკიდებული არ უნდა იყოს შემოსავლებზე. შედარებით ოპტიმალური და სამართლიანი იქნება თუ ქონების გადასახადით დაბეგვრის საკითხი განისაზღვრება ოჯახის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე და არა მის მიერ მიღებულ შემოსავლებზე ან /და ქონების მატებაზე დაწესდება გადასახადი

დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით ლარში. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

- ✓ გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადზე დეკლარაციას წარადგენს და შესაბამის გადასახადს იხდის საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა. ფიზიკური პირი ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია მიმდინარე გადასახადები ამ გადასახადში. საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. გასულ პერიოდში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე განსაზღვრული იყო ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელის 4 სავადო, შემდგომ პერიოდში იგი განისაზღვრა 3 სავადოთი, ხოლო 2009 წლის ცვლილებით გახდა 1 სავადო -15 ივნისი. სწორედ აქ ჩნდება ლოგიკური ანალიზის საჭიროება, თუ მხოლოდ ერთი სავადო დგინდება, რა აუცილებლობითაა განპირობებული აღნიშნული სავადოს დაგენა შესაბამისი ადმინისტრირების ჩათვლით, განაუფრო მარტივი და მისაღები არ არის სააგარიშო პერიოდის შემდეგ, როცა ყველაფერი დადგენილი და განსაზღვრულია, წარდგენილი დეკლარაციით დაფიქსირებულ გადასახადზე განისაზღვროს გადახდის ვადა, რაც მისაღებია ზოგადად საბიუჯეტო სისტემისათვის, თუგინდ იგივე 15 ივნისი, ნაცვლად მიმდინარე გადასახდელის დარიცხვისა, შემდეგ მისი დაზუსტებისა აქედან გამომდინარე ადმინისტრირების პროცედურებით როგორც გადამხდელისათვის, ისე საგადასახადო ორგანოებისათვის.

ყოველივე ზემოთაღნიშნულს თუ გავუკეთებთ ზოგად რეზიუმეს, ნათლად იკვეთება ამ გადასახადთან მიმართებაში დაქსაქსულობა, სხვადასხვა ელემენტების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებულობა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ერთი გადასახადის ქვეშ ხდება მისი ადმინისტრირება.

თუ გავაანალიზებთ 2010-2016 წლების საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მონაცემებს შევამჩნევთ ქონების გადასახადით მიღებული შემოსავლების ზრდის დინამიკას.

ცხრილი N2.⁴ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის წლიური მონაცემები 2010-2016 წლები (მონაცემები მოცემულია მილიონ ლარებში)

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის წლიური მონაცემები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
შემოსავლები	5865.9	6873.7	7560.0	7434.3	8118.9	8963.3	9675.5
გადასახადები	4867.5	6134.8	6671.0	6659.3	7241.6	8010.8	8786.1
გადახდები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	1778.0	2383.3	2615.8	2740.8	2767.6	3248.4	3469.9
გადასახადები ხელფასზე და სამუშაო ძალაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები ქონებაზე	191.7	220.4	230.0	230.7	245.9	290.1	363.4
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	2763.9	3399.5	3699.9	3570.1	4108.7	4376.2	4356.1
გადასახადები საგარეო ვაჭრობასა საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე	70.4	93.2	90.1	89.4	94.9	69.3	70.1
სხვა გადასახადები	63.5	38.4	35.2	28.3	24.5	26.8	526.6
სოციალური შენატანები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	472.1	223.5	270.8	239.1	279.5	318.8	297.3
სხვა შემოსავლები	526.3	515.4	618.2	535.9	597.8	633.7	592.1

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა, საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გადასახადის გადამხდელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების

⁴ წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე (www.mof.ge).

ინტერესები, რათა არ მოხდეს მათი ეკონომიკური აქტივობის დაცემა. კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილეთ ქონების გადასახადი, რომელშიც წარმოჩინდა რიგი ხარვეზები, პრობლემური საკითხები.

როდესაც განვიხილავთ ზოგადად საგადასახადო სისტემას ან კონკრეტულად რომელიმე გადასახადს, მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების გამოკიდებულება. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმეებისათვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ერთადერთი გზა მხოლოდ და მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის შემცირებაა. აუცილებელია საზოგადოების საგადასახადო ცნობიერების დონის ამაღლება. სწორედ საზოგადოების ინფორმირებულობისა და საგადასახადო კულტურის არასაკმარისი დონე წარმოშობს რიგ პრობლემებს ქონების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. გადასახადის არ გადახდის მიზნით ხდება შემოსავლების დაფარვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოჯახის შემოსავალი რეალურად აჭარბებს ორმოციას ლარს.

ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების უზრუნველყოფა დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებზე, არამედ ამ პროცესში უშუალოდ ჩართულ გადასახადის გადამხდელზე, ვინაიდან გადასახადის გადამხდელების აქტიური ჩართულობა ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებაში ხელს უწყობს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების პროცესს.

გამოყენებული წყაროები:

- [1] ბარათაშვილი ე. აბრალავა ა. ბახტაძე ლ. კაკულია რ. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, თბილისი 2015 წ., 397 გვ;
- [2] როგავა ზ. ამილახვარი ზ. საგადასახადო სამართალი თბილისი 2013 წ., 560 გვ;
- [3] სვანაძე ს. საგადასახადო პოლიტიკა, ქუთაისი 2014 წ., 342 გვ;
- [4] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- [5] საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- [6] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- [7] საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ;
- [8] www.mof.ge
- [9] www.geostat.ge
- [10] www.parliament.ge
- [11] www.economy.ge